PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - კოლეჯ „აისის“ მიერ სატყეო საქმის საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ხაჩიძე

წევრები:

თამარ ახალაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „აისი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 5 მარტის N276043 ბრძანების საფუძველზე, რომელშიც ცვლილება შევიდა დირექტორის 2020 წლის 11 მარტის N292818 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „სატყეო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ამ მიზნით დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 13 მარტს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი. დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; სატყეო საქმის საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების შემოწმება, მათთან გასაუბრება; ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმების შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება.

ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა სატყეო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ დაწესებულების დასაბუთების შეფასება და შესაბამისობის დადგენა მისიასთან და სტრატეგიული განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გეგმასთან. შესაბამისად, კოლეჯის 6-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2020 წლის სამოქმედო გეგმა შეფასდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის №25/ნ ბრძანებით ცვლილებებშეტანილ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტთან - „კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება“ მიმართებით. სტანდარტის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარება“, რომლის ინდიკატორიც მდგომარეობს შემდეგში: “დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.“

2014-2020 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია სტრატეგიის შემმუშავებელი გუნდის მიერ. სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია დირექტორის მიერ N11 ბრძანებით (4.03.2014), რომელიც ასახავს პროფესიული განათლების სისტემაში არსებულ მდგომარეობას, მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს, სტრატეგიულ მიზნებს, აქტივობებს, მოსალოდნელ შედეგებს, ხედვასა და მისიას. სტრატეგიული განვითარების გეგმა დაფუძნებულია SWOT ანალიზზე. სტანდარტების მოთხოვნიდან გამომდინარე, დაწესებულებაში მოქმედი სტრატეგიული გეგმა არ მოიცავს ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესაბამის ინდიკატორებს. შესაბამისად, კოლეჯმა დაიწყო ახალ სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობა, რაც დასტურდება დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N02-01-56 ბრძანებით (დანართი 2), რომლითაც შექმნილია სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი და მას დავალებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად მიმდინარე წლის პირველ მაისამდე შეიმუშაოს განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა (დანართი 3).

დირექტორის 2020 წლის 31 იანვრის N02-01-26 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „აისი“ 2020 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია მიზნები, დაგეგმილი აქტივობები, განხორციელების პერიოდი, განხორციელებაზე პასუხისმგებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პირი/პირები და შესრულების ინდიკატორები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა შეფასდა ახალ სტანდარტებთან მიმართებით და გამოიკვეთა შემდეგი:

- სასურველია დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად გათვალისწინებული იყოს ყველა საჭირო რესურსი. დაწესებულების მიერ გაწერილია მხოლოდ პასუხისმგებელი პირები, ანუ ადამიანური რესურსი, თუმცა აქტივობების განხორციელება საჭიროებს მატერიალური რესურსის არსებობასაც.
- დაწესებულების მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმა ერთ-ერთ დაგეგმილ აქტივობად ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრირებას. ასევე, სამოქმედო გეგმაში დამატებით აქტივობად გათვალისწინებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება“. შესაბამისად, სასურველია გასწორდეს სამოქმედო გეგმაში არსებული ტექნიკური ხარვეზი.
- სასურველია სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდეს გაზომვად შესრულების ინდიკატორებს. მაგალითად, ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენს „ბიბლიოთეკის შევსება ახალი ლიტერატურით“, რომლის ინდიკატორსაც წარმოადგენს „ბიბლიოთეკა შევსებულია ახალი ლიტერატურით“; ასევე, ახალი სასწავლო მასალებისა და ინვენტარის შეძენა არის ერთ-ერთი აქტივობა, რომლის ინდიკატორსაც წარმოადგენს „სასწავლო მასალები შეძენილია“; სახელოსნოების მშენებლობა არის ერთ-ერთი აქტივობა, რომლის ინდიკატორს წარმოადგენს „აშენებულია სახელოსნოები“. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დაწესებულების მიერ გაწერილი იყოს გაზომვადი შესრულების ინდიკატორები, რომელიც სამიზნე ნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯს მისცემს შესაძლებლობას შეაფასოს აქტივობის მიღწევა.

ვიზიტისას მიმდინარეობდა ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება და დაწესებულებისთვის წარდგენა. ვიზიტის ბოლოს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტის პერიოდში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები არ დაფიქსირებულა.

V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა:

დაწესებულების მიმართ წინა ვიზიტისას გაიცა რეკომენდაცია, რომ ვეტერინარიის პროგრამის ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაზუსტებულიყო რომელი მოდულის / ან სწავლის შედეგის ფარგლებში განხორციელდება კოლეჯსა და დაწესებულებას შორის ურთიერთთანამშრომლობა. ასევე, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ასახულიყო ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ. დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები გაითვალისწინა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ვიზიტისას ხარვეზები არ გამოვლენილა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

სასურველია ინტეგრირებული მოდულების პედაგოგებმა გაიარონ ტრენინგები (პრაქტიკული კუთხით), სადაც აქცენტი იქნება გაკეთებული ახალი ინვენტარის და ხელსაწყოების ინსტრუქციებზე, პრაქტიკული დავალებების შინაარსზე, მოდულური პროგრამების პრაქტიკული ნაწილის მნიშვნელობაზე და ა. შ. ასევე, მნიშვნელოვანია, პედაგოგს გააზრებული ჰქონდეს ძირითად სპეციალობასა და პროგრამაში ინტეგრირებულ მოდულებს შორის ურთიერთკავშირის დანახვისა და გაანალიზების აუცილებლობა.

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

სასურველია, დაწესებულების მიერ გარკვეული პერიოდულობით შემუშავდეს კვლევის ანგარიშები, რომელიც დაეფუძნება კვლევის მეთოდოლოგიას და მასში გაწერილი იქნება როგორც კვლევის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, მონაცემთა შეგროვების მეთოდები, ასევე მოხდება მიღებულ მონაცემთა ანალიზი, ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთება ძირითადი მიგნებები და გაიცემა რეკომენდაციები. აქედან გამომდინარე, სასურველია გადაიხედოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებიც. აღნიშნული კოლეჯს უფრო მეტად მისცემს პროგრამების განვითარების შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-118 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის წესსა და დამტკიცების პროცედურაში სასურველია გაწერილი იყოს, ვინ განიხილავს ცვლილებებს, როგორ ხდება ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაწესებულებაში, ან მის გარეთ სხვადასხვა მიზეზთა გამო. მაგალითად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების, ან საკუთარი ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში და სხვა.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-118 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის წესითა და დამტკიცების პროცედურით ირკვევა, რომ სასწავლო გეგმით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და 40 საათზე მეტი. სატყეო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვა დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით შეადგენს დაახლოებით 25 საათს. შესაბამისად, სასურველია, დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის ქვედა ზღვარი გათვალისწინებული არ იყოს, გამომდინარე საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებიდანაც, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

სასურველია, დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციებში შევიდეს გარკვეული ცვლილება და ისინი შესაბამისობაში მოვიდეს მინისტრის ბრძანებებთან. მაგალითად, მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მინიმუმ 10% განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის, როდესაც პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით სსსმ პირთა კვოტა თითოეულ პროგრამაზე განსაზღვრულია სრული რაოდენობის 15 პროცენტით. აღნიშნულ დებულებაში ცვლილება განხორციელებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 სექტემბრის N203/ნ ბრძანებით. ასევე, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წესი მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც დაწესებულების მიერ ცალკე მარეგულირებელი დოკუმენტითაც რეგულირდება. აღნიშნული დოკუმენტები არ ავსებენ ერთმანეთს და ძირითადად ერთნაირია. შესაბამისად, სასურველია რეგულაციები გადაიხედოს და განხორციელდეს ცვლილებები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

სასურველია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ფარავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. ასევე, განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრული იყოს, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს (უკვე გამოყენებული, თუ ახალი), რა ვადებში უნდა მოხდეს ნამუშევრების გასწორება და შეფასება და სხვა.

სასურველია შეფასების მექანიზმები აწესრიგებდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტების შექმნა (როდის იქმნება, ვის მიერ), განმეორებითი შეფასებისთვის როდის იქმნება ინსტრუმენტი, როდის და როგორ ხდება ინსტრუმენტების გადამოწმება (შეფასებამდე რამდენი ხნით ადრე აწვდის შემმოწმებელს, როგორ იღებს უკუკავშირს და სხვა), რამდენი ხნით ადრე იგებს სტუდენტი შეფასების შესახებ, როდის ეცნობა შეფასების სქემას, როგორ ხდება მტკიცებულებების მოპოვება და შენახვა (ვინ მოიპოვებს, ვისთან ინახება, ვის გადასცემენ შემდეგომ და სხვა).

მიზანშეწონილია შეფასების უწყისები ინახებოდეს უვადოდ, ხოლო შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. 3 წლის შემდეგ მტკიცებულებები შეიძლება განკარგულ იქნას დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სატყეო საქმე
პროფესიული განათლების დონე	საშუალო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში / Secondary VocationalQualification in Forestry
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0821
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 14 აგვისტოს N 02-01-220 ბრძანებით შევიდა ცვლილება დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N 02-01-54 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი შრომა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი შრომა - 30 სტუდენტი (მოდულური)
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი შრომა - 30 სტუდენტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	101 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	48 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	131 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	78 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ კოლეჯი "აისი" 2017 წლიდან ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „სატყეო საქმე". როგორც კოლეჯის ადმინისტრაცია აღნიშნავს, გურჯაანისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან, რესურსცენტრების წარმომადგენლებთან, საჯარო სკოლების ხელმძღვანელებთან, მოსახლეობასთან და დამსაქმებლებთან შეხვედრების დროს გამოიკვეთა სატყეო საქმის განახლებული პროგრამის განხორციელების საჭიროება.

2019 წელს კოლეჯმა ასევე განახორციელა კვლევა სატყეო საქმის პროფესიაზე მოთხოვნის შესწავლის მიზნით. კვლევა ჩატარდა გურჯაანისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობებისა და ადგილობრივი ერთეულების მერების წარმომადგენლებთან და ამავე მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. კვლევის მიზანი იყო სატყეო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პერსპექტიულობის მოთხოვნის შესწავლა კახეთის რეგიონში. კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, ხოლო მონაცემთა შეგროვების მეთოდად - გამოკითხვა ინტერვიუს ფორმით. გურჯაანის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 100 რესპოდენტი (56 %), ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში - 80 (44 %). გამოკითხვა ჩატარდა სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელმაც მისცა კოლეჯს რაოდენობრივი ინფორმაციის მოპოვების, გაზომვის და ანალიზის შესაძლებლობა. რესპოდენტთა შორის უმრავლესობა იყო ბიჭი. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული თვითმმართველობის წარმომადგენელთა უმრავლესობა (83 %) აღნიშნავს, რომ სატყეო საქმის სპეციალისტების მომზადება კახეთის რეგიონისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, 18 % მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, ხოლო 2 %-ს მიაჩნია, რომ არც თუ ისე მნიშვნელოვანი. გამოკითხულ მოსწავლეთა 98% მიიჩნევს, რომ სატყეო საქმის პროფესია მათთვის ძალიან საინტერესოა და დიდი სიამოვნებით მიიღებენ განათლებას ამ მიმართულებით. როგორც ცნობილია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით 2020 წლიდან ცხრაკლასდამთავრებულ მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა სკოლის ატესტატთან გათანაბრებული პროფესიული განათლების დიპლომიც მიიღონ. აღნიშნული ინფორმაცია მისაღები აღმოჩნდა გამოკითხული მოსწავლეების 98%-სთვის. შესაბამისად, კოლეჯი სატყეო საქმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გზით აპირებს საგანმანათლებლო ჩიხის აღმოფხვრას.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 31 იანვრის N02-01-26 ბრძანებით დამტკიცებული 2020 წლის სამოქმედო გეგმა ერთ-ერთ დაგეგმილ აქტივობად ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრირებას.

ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა უზრუნველყო სატყეო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ დაწესებულების დასაბუთების შეფასება და შესაბამისობის დადგენა მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. შესაბამისად, კოლეჯის 6-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2020 წლის სამოქმედო გეგმა შეფასდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის №25/ნ ბრძანებით ცვლილებებშეტანილ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტთან - „კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება“ მიმართებით. სტანდარტის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარება“, რომლის ინდიკატორიც მდგომარეობს შემდეგში: “დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.“

2014-2020 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია სტრატეგიის შემმუშავებელი გუნდის მიერ. სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია დირექტორის მიერ N11 ბრძანებით (4.03.2014), რომელიც ასახავს პროფესიული განათლების სისტემაში არსებულ მდგომარეობას, მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს, სტრატეგიულ მიზნებს, აქტივობებს, მოსალოდნელ შედეგებს, ხედვასა და მისიას. სტრატეგიული განვითარების გეგმა დაფუძნებულია SWOT ანალიზზე. სტანდარტების მოთხოვნიდან გამომდინარე, დაწესებულებაში მოქმედი სტრატეგიული გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

არ მოიცავს ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესაბამის ინდიკატორებს. შესაბამისად, კოლეჯმა დაიწყო ახალ სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობა, რაც დასტურდება დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N02-01-56 ბრძანებით (დანართი 2), რომლითაც შექმნილია სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი და მას დავალებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად მიმდინარე წლის პირველ მაისამდე შეიმუშაოს განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა (დანართი 3).

დირექტორის 2020 წლის 31 იანვრის N02-01-26 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „აისი“ 2020 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია მიზნები, დაგეგმილი აქტივობები, განხორციელების პერიოდი, განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები და შესრულების ინდიკატორები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა შეფასდა ახალ სტანდარტებთან მიმართებით და გამოიკვეთა შემდეგი:

- სასურველია დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად გათვალისწინებული იყოს ყველა საჭირო რესურსი. დაწესებულების მიერ გაწერილია მხოლოდ პასუხისმგებელი პირები, ანუ ადამიანური რესურსი, თუმცა აქტივობების განხორციელება საჭიროებს მატერიალური რესურსის არსებობასაც.
- დაწესებულების მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმა ერთ-ერთ დაგეგმილ აქტივობად ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრირებას. ასევე, სამოქმედო გეგმაში დამატებით აქტივობად გათვალისწინებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება“. შესაბამისად, სასურველია გასწორდეს სამოქმედო გეგმაში არსებული ტექნიკური ხარვეზი.
- სასურველია სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდეს გაზომვად შესრულების ინდიკატორებს. მაგალითად, ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენს „ბიბლიოთეკის შევსება ახალი ლიტერატურით“, რომლის ინდიკატორსაც წარმოადგენს „ბიბლიოთეკა შევსებულია ახალი ლიტერატურით“; ასევე, ახალი სასწავლო მასალებისა და ინვენტარის შეძენა არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ერთ-ერთი აქტივობა, რომლის ინდიკატორსაც წარმოადგენს „სასწავლო მასალები შეძენილია“; სახელოსნოების მშენებლობა არის ერთ-ერთი აქტივობა, რომლის ინდიკატორს წარმოადგენს „აშენებულია სახელოსნოები“. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დაწესებულების მიერ გაწერილი იყოს გაზომვადი შესრულების ინდიკატორები, რომელიც სამიზნე ნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯს მისცემს შესაძლებლობას შეაფასოს აქტივობის მიღწევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების გადაწყვეტილება სატყეო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებასთან დაკავშირებით ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

- სრული ზოგადი განათლება;
- საბაზო ზოგადი განათლება - საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების შემთხვევაში.

ინტეგრირებული სასწავლო გეგმით ირკვეოდა, რომ რამდენიმე პროფესიულ მოდულს დაშვების წინაპირობად მითითებული ჰქონდა სრული ზოგადი განათლება. მსგავს დაშვების წინაპირობებს არ ითვალისწინებს შესაბამისი მოდულები. დირექტორის მოადგილის განმარტებით, აღნიშნული შეცდომით იყო ჩარჩენილი სასწავლო გეგმაში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო, ინტეგრირებული სასწავლო გეგმა შესაბამისობაში მოსულიყო როგორც ჩარჩო დოკუმენტის, ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანებასთან. დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა ცვლილებებშეტანილი ინტეგრირებული სასწავლო გეგმა, სადაც გათვალისწინებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 2020 წლის 13 მარტის N02-01-62 ბრძანებით (დანართი 4).

საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი მეთოდოლოგიით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ 2019 წლის 21 ოქტომბერს N02-01-119 ბრძანებით. დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

ა) მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B, C) გარემო;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;

გ) საწარმოო პრაქტიკის ობიექტის რესურსი;

დ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს.

ინტეგრირებული მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამაში/მოდულებში სწავლის შედეგების მისაღწევად მითითებულია რელევანტური რესურსები.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N118/ნ ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯ „აისის“ წესდება, რომლითაც ირკვევა, რომ დირექტორი საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წესისა და დამტკიცების პროცედურით ირკვევა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს დირექტორი. ასევე, პროგრამაში ცვლილებების შემთხვევაში გამოიცემა დირექტორის ბრძანება. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის/დირექტორის მიერ. ასევე, პროგრამაში ცვლილებები განხორციელებულია დირექტორის ბრძანებით. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

პროგრამის დასახელება ასრულებს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციას, შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პროგრამის შემუშავების საფუძველი შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტი და 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობებია“. პროგრამით განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. სასწავლო გეგმა გაწერილია 3 სასწავლო წელზე. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წესდებით;
- 2020 წლის სამოქმედო გეგმით;
- ჩატარებული კვლევის ანგარიშით;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის წესითაა და დამტკიცების პროცედურით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ინტეგრირებული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესყიდვა განხორციელდა ტენდერის გზით. წარმოდგენილია შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნული აღჭურვილობის არსებობა, ასევე დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით. შესაბამისად, დაწესებულებას მოწყობილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო კაბინეტი.

კოლეჯი მოქმედებს რეგულაციის/შინაგანაწესის შესაბამისად. კოლეჯის მიერ დასაქმების მსურველთა შერჩევისას, გამოყენებული იყო კონკურსით შერჩევის წესი. ვაკანსიები განთავსებული იყო www.hr.gov.ge -ზე. განთავსებული ვაკანსიები მოიცავდნენ მასწავლებლის ფუნქციების, კონკურსის ეტაპების, მინიმალური მოთხოვნების (მინიმალური განათლება, კომპიუტერული პროგრამები, ენები) შესახებ ინფორმაციას. კონკურსის პირველი ეტაპის - რეზიუმეების გადარჩევისთვის და კონკურსის მეორე ეტაპის - გასაუბრების ჩატარებისთვის დირექტორის ბრძანებებით შეიქმნა კომისია. კომისიამ კანდიდატთა შერჩევის პირველ ეტაპზე უზრუნველყო აპლიკანტთა ანკეტური მონაცემების შედარება ვაკანტური თანამდებობისთვის წაყენებულ მოთხოვნებთან, ხოლო შერჩევის მეორე ეტაპზე - გასაუბრება. ინტერვიუსთვის სფეროების მიხედვით გაიწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აუცილებელი კითხვები. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა, თითოეული კანდიდატის მიერ გასაუბრებისას მიღებული ქულები/შეფასებები.

შერჩეული კანდიდატები ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე ვალდებული არიან გაეცნონ: კოლეჯის წესდებას, თანამდებობრივ ინსტრუქციას, ადამიანური რესურსების მართვის პროცედურას, შრომის შინაგანაწესს და კოლეჯში არსებულ სხვა ინსტრუქციებს.

საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული და პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამას დანართის სახით ახლავს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ და მითითებულია ის კვალიფიკაციები, რომლითაც განმახორციელებელი პირი რელევანტურია მოდულის ამა თუ იმ კომპონენტის განხორციელებაზე. ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს განახორციელებს 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.

სატყეო საქმის საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მისაღწევად განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ, კოლეჯი მოქმედებს სსიპ კოლეჯის „აისი“ თანამშრომელთა ფუნქციონალური მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 23 ივლისის N02-01-36 ბრძანებით. ასევე, სსიპ კოლეჯის „აისი“ ადამიანური რესურსების მართვის პროცედურით. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელის და ყველა პედაგოგის პირადი საქმეების შესწავლა. წარმოდგენილი მასალები დამაკმაყოფილებელია და პედაგოგების კომპეტენცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. ამას ადასტურებს შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტები: დიპლომები და სერთიფიკატები.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს და პროგრამის ხელმძღვანელს. მათ აქვთ შესაბამისი განათლება და მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ინტერვიუირებისას მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ინტეგრირებულმოდულიანი საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესება მაღალია, გამომდინარე იქიდან, რომ კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ პროფესიული სტუდენტი სკოლის ატესტატთან გათანაბრებულ პროფესიული განათლების დიპლომს მიიღებს. ინტერვიუირებისას და აღჭურვილობის დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელთა ნაწილი გარკვეული აღჭურვილობის იდენტიფიცირებას ვერ ხედავს. შესაბამისად, სასურველია ინტეგრირებული მოდულების პედაგოგებმა გაიარონ ტრენინგები (პრაქტიკული კუთხით), სადაც აქცენტი იქნება გაკეთებული ახალი ინვენტარის და ხელსაწყოების ინსტრუქციებზე, პრაქტიკული დავალებების შინაარსზე, მოდულური პროგრამების პრაქტიკული ნაწილის მნიშვნელობაზე და ა. შ. ასევე, მნიშვნელოვანია, პედგადაგოგს გააზრებული ჰქონდეს ძირითად სპეციალობასა და პროგრამაში ინტეგრირებულ მოდულებს შორის ურთიერთკავშირის დანახვისა და გაანალიზების აუცილებლობა.

სატყეო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება პირადი საქმით, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროგრამით.

დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური ან ელექტრონული სახით ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი, სადაც განთავსებულია ოთხი კომპიუტერი. სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. ბიბლიოთეკის ფონდი, გარდა სავალდებულო ლიტერატურისა, მოიცავს სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

სახის ლიტერატურასაც. ინტეგრირებული მოდულებიდან გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული. მოდულებით გათვალისწინებული ყველა წიგნი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული.

დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მოდულის მოდიფიკაცია, ასევე აკომოდაცია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სსსმ პირებისთვის შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები.

დაწესებულების მიერ პირველ ეტაპზე წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტით, პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარი შეადგენდა 5 პროფესიულ სტუდენტს, თუმცა შემოსავლები და ხარჯი დათვლილი იყო 30 პროფესიულ სტუდენტზე. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა პროგრამის ბიუჯეტი, სადაც რენტაბელობის ზღვარიდან, 5 პროფესიული სტუდენტიდან გამომდინარე, დათვლილია მიღებული შემოსავლები და ხარჯები. შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასური - ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსებაა, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება და პროგრამის სასწავლო მასალების, მასალა-ნედლეულის ღირებულება (დანართი 5).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პირადი საქმეებით;
- შინაგანაწესით;
- თანამშრომელთა ფუნქციონალური მოვალეობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ადამიანური რესურსების მართვის პროცედურით;
- დირექტორის ბრძანებით თანამშრომელთა საათების შეთავსების შესახებ;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- სსსპ პირებისთვის შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტებით;
- ინტერვიუირებით;
- ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის N02-01-185 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებულია სხვადასხვა ტიპის კითხვარი, რომლებიც გათვლილია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფზე. მექანიზმი გაწერილია ხარისხის ციკლის მიხედვით და ითვალისწინებს უკუკავშირს პროფესიული სტუდენტებიდან, პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან, კურსდამთავრებულებისაგან, დამსაქმებლებისაგან და ა.შ. დაწესებულების მიერ შემუშავებულია სასწავლო-საწარმოო დარგში დირექტორის მოადგილის ანგარიში, რომლითაც ირკვევა, რომ სასწავლო გეგმის მიხედვით ეტაპობრივად მიმდინარეობდა მასწავლებლების მიერ კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა. მიმდინარეობდა ელექტრონული და სატელეფონო კომუნიკაციები, გამოგზავნილი ფორმების განხილვა, კორექტირება და სათანადო რეკომენდაციების გაგზავნა ადრესატებისადმი. შემუშავებული ანგარიშით ასევე ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტები კმაყოფილნი არიან მასწავლებლების მიერ ჩატარებული საგაკვეთილო პროცესით, რჩევებითა და კონსულტაციებით. ასევე სასწავლო რესურსით, ინვენტარით, ლაბორატორიებითა და სახელოსნოებით (დანართი 6).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამსახურის მიერ კურსდამთავრებულებისგან უკუკავშირის მიღების მიზნით, განხორციელებულია 2019 წლის კურსდამთავრებულთა კვლევა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა დასაქმების მაჩვენებლის გარკვევა, კურსდამთავრებულთა დამოკიდებულების შესწავლა პროფესიული განათლების მიმართ და მათი მოლოდინების გამართლების შესახებ ინფორმაციის მოძიება არჩეულ პროფესიებთან მიმართებით.

სასურველია, დაწესებულების მიერ გარკვეული პერიოდულობით შემუშავდეს კვლევის ანგარიშები, რომელიც დაეფუძნება კვლევის მეთოდოლოგიას და მასში გაწერილი იქნება როგორც კვლევის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, მონაცემთა შეგროვების მეთოდები, ასევე, მოხდება მიღებულ მონაცემთა ანალიზი, ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთება ძირითადი მიგნებები და გაიცემა რეკომენდაციები. აქედან გამომდინარე, სასურველია გადაიხედოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. აღნიშნული კოლეჯს უფრო მეტად მისცემს პროგრამების განვითარების შესაძლებლობას.

2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-118 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის წესითა და დამტკიცების პროცედურით ირკვევა, რომ პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს და პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელს. სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში გაწერილი იყოს, ვინ განიხილავს ცვლილებებს, როგორ ხდება ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაწესებულებაში, ან მის გარეთ სხვადასხვა მიზეზთა გამო. მაგალითად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების, ან საკუთარი ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში და სხვა. დაწესებულების მიერ სატყეო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება მოპოვებულია 2017 წელს. დირექტორის მოადგილის განმარტებით, პროგრამაში ძირითადად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ცვლილებები ხორციელდებოდა პირველ ეტაპზე, პროგრამის დანერგვისას. ბოლო პერიოდში ცვლილებები არ განხორციელებულა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით;
- შემუშავებული ანგარიშით;
- 2019 წლის კურსდამთავრებულთა კვლევით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის წესითა და დამტკიცების პროცედურით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამას დანართის სახით ახლავს სასწავლო გეგმა. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას ნაწილობრივ დაცული იყო პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა. ინტეგრირებული სასწავლო გეგმით რამდენიმე პროფესიულ მოდულს დაშვების წინაპირობად მითითებული ჰქონდა სრული ზოგადი განათლება. მსგავს დაშვების წინაპირობებს არ ითვალისწინებს შესაბამისი მოდულები. დირექტორის მოადგილის განმარტებით, აღნიშნული შეცდომით იყო ჩარჩენილი სასწავლო გეგმაში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო ინტეგრირებული სასწავლო გეგმა შესაბამისობაში მოსულიყო როგორც ჩარჩო დოკუმენტის, ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანებასთან. დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა ცვლილებებშეტანილი სასწავლო გეგმა, სადაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.

2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-118 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის წესითა და დამტკიცების პროცედურით ირკვევა, რომ სასწავლო გეგმით სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კვირეული დატვირთვა არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და 40 საათზე მეტი. სატყეო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვა დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით შეადგენს დაახლოებით 25 საათს. შესაბამისად, სასურველია, დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის ქვედა ზღვარი გათვალისწინებული არ იყოს, გამომდინარე საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებიდანაც, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

სასწავლო პროცესი სასწავლო გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რაც დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით. ასევე, შინაგანაწესით გაწერილია სასწავლო განაწესი. კერძოდ, პროფესიულ სტუდენტთა უფლება-მოვალეობანი, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, წახალისების ზომები და სხვა. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ 2019 წლის 9 ოქტომბერს N02-01-107 ბრძანებით, გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის მექანიზმები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯის შემდგომი ნაბიჯები და სხვა. სასურველია, დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციებში შევიდეს გარკვეული ცვლილება და ისინი შესაბამისობაში მოვიდეს მინისტრის ბრძანებებთან. მაგალითად, მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მინიმუმ 10% განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის, როდესაც პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით სსსმ პირთა კვოტა თითოეულ პროგრამაზე განსაზღვრულია სრული რაოდენობის 15 პროცენტით. აღნიშნულ დებულებაში ცვლილება განხორციელებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 სექტემბრის N203/ნ ბრძანებით. ასევე, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც დაწესებულების მიერ ცალკე მარეგულირებელი დოკუმენტითაც რეგულირდება. აღნიშნული დოკუმენტები არ ავსებენ ერთმანეთს და ძირითადად ერთნაირია. შესაბამისად, სასურველია რეგულაციები გადაიხედოს და განხორციელდეს ცვლილებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის მოდულები სრულად ითვალისწინებს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ ინტეგრირებული მოდულებით განსაზღვრულ სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს, რაც ვალიდურს ხდის სასწავლო პროცესს თანამედროვე მოთხოვნებთან. თუმცა სასურველია ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებს დაწესებულება აძლევდეს საშუალებას გაეცნოს დარგის ტექნოლოგიურ სიახლეებს. ამისათვის, შესაძლებელია მოწვეულ იქნას დარგის მოქმედი ექსპერტები და სხვა.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება სტუდენტთან შეთანხმებით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

პროგრამის ინტეგრირებული მოდულებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე და არ საჭიროებს პარტნიორ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას.

სასწავლო პროცესი უსაფრთხო სასწავლო გარემოში წარიმართება. ინტეგრირებული მოდულები რაიმე სპეციფიურ მოთხოვნებს არ ითვალისწინებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის წესითა და დამტკიცების პროცედურით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც ორგანიზებულია სასწავლო პროცესი. რეგულაციით გაწერილია შეფასებისა და გასაჩივრების წესი. თუმცა სასურველია აღნიშნული რეგულაცია ფარავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. ასევე, განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრული იყოს, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს (უკვე გამოყენებული, თუ ახალი), რა ვადებში უნდა მოხდეს ნამუშევრების გასწორება, შეფასება და სხვა.
შეფასების სისტემის გამართული მუშაობისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N02-01-53 ბრძანებით. მისი მიზანია ვითარების შესწავლა, მონაცემების შეგროვება, ანალიზი, საჭიროებების განსაზღვრა, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩარევების განხორციელება. ვერიფიკაციის მეთოდოლოგია ძირითადად დაფუძნებულია უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციაზე. სასურველია შეფასების მექანიზმები აწესრიგებდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტების შექმნა (როდის იქმნება, ვის მიერ), განმეორებითი შეფასებისთვის როდის იქმნება ინსტრუმენტი, როდის და როგორ ხდება ინსტრუმენტების გადამოწმება (შეფასებამდე რამდენი ხნით ადრე აწვდის შემმოწმებელს, როგორ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

იღებს უკუკავშირს და სხვა), რამდენი ხნით ადრე იგებს სტუდენტი შეფასების შესახებ, როდის ეცნობა შეფასების სქემას, როგორ ხდება მტკიცებულებების მოპოვება და შენახვა (ვინ მოიპოვებს, ვისთან ინახება, ვის გადასცემენ შემდგომ და სხვა).

დაწესებულების რეგულაციით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, მოდულების შედეგების მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტები/შეფასების უწყისები/ინახება კოლეჯში არაუმეტეს 3 წლის ვადით. მიზანშეწონილია შეფასების უწყისები ინახებოდეს უვადოდ, ხოლო შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. ასევე, დაწესებულების მიერ უნდა მიმდინარეობდეს მტკიცებულებების აღრიცხვა. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მტკიცებულებები ინახება მტკიცებულებებისთვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილას/საცავში 3 წლის ვადით და უახლოეს პერიოდში დაიწყება ელექტრონული აღრიცხვისწარმოება. 3 წლის შემდეგ, მტკიცებულებები შეიძლება განკარგულ იქნას დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.

დაწესებულება განახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს ვერიფიკაციის მეთოდოლოგიის შესაბამისად, ხოლო მიღებულ შედეგებს გამოიყენებს პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგიით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	-
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

დასაბუთება

.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. დირექტორის ბრძანება განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავების შესახებ;
დანართი 3. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
დანართი 4. დირექტორის ბრძანება პროგრამაში ცვლილების შესახებ;
დანართი 5. პროგრამის ბიუჯეტი;
დანართი 6. 2019 წლის სასწავლო წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

03.04.2020
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: